**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით**

**ეთიკის კომისიის**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე**

**მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ინგა სეხნიაშვილი -კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია - კოლეგიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი –** ი. ა.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 23.07.2018

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** №094/18

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ /სიითი №/

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ დ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 23 ივლისს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ  დ. მ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით 2017 წლის 03 აგვისტოს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის მოთხოვნით. 2017 წლის 30 ნოემბერს, ეთიკის კომისიამ  მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში დაფიქსირებულია უზუსტობა, კერძოდ, ი. ა.-ის ნაცვლად მითითებულია დიანა არჯევანიძე, ხოლო გადაწყვეტილების 4.2 პუნქტში, მისი სახელის და გვარის ნაცვლად მითითებულია ვინმე „ნ. ჯ.“.

1.4 საჩივრის ავტორის აზრით არათანმიმდევრულია მოვლენათა განვითარება აღწერილობითი ნაწილის 1.5 პუნქტში, სადაც მითითებულია - „შემდეგ საჩივრის ავტორი შევიდა ბინაში იმ იმედით, რომ დერეფანში მას აჩვენებდნენ ბავშვებს“. ი. ა.-ის განმარტებით, შვილიშვილების სანახავად წავიდა ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის წარმომადგენელთან გ. კ.-სთან ერთად. სადარბაზოში შევიდა გ. კ.. როდესაც გ. კ.-მ ნახა დ. მ.-ის შვილი ზ. მ., ამ უკანასკნელმა თანხმობა განაცხადა ბავშვების ი. ა.-ისთვის ჩვენებაზე. ზ. მ.-ისგან თანხმობის მიღების შემდეგ გ. კ.-მ დაუძახა ი. ა.-ს და ის ავიდა მე-4 სართულზე, თუმცა არ შესულა ბინაში. ამ დროს ზ. მ.-მა დაურეკა ადვოკატ დ. მ.-ს, რომ მისულიყო მათთან. ადვოკატი მივიდა და საჩივრის ავტორს წაართვა ტელეფონი, ასევე მიაყენა,  სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. დ. მ. იყო ალკოჰოლური თრობის ქვეშ და გ. კ.-ს ეძახდა „სანტაკლაუსს“.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი, სადაც გადმოცემულია ადვოკატის პოზიცია, არ შეესაბამება სიმართლეს. კერძოდ, მითითებულია, რომ ადვოკატი დ. მ. არ დაკავშირებია ი. ა.-ს ტელეფონით და არ მიუყენებია მისთვის შეურაცხყოფა. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ დ. მ. არაერთხელ ურეკავდა მას, ხოლო ბოლო პერიოდში განხორციელებული ზარების დროს უცენზურო სიტყვებით მიმართვის გამო ი. ა. აღარ პასუხობდა ადვოკატის ზარებს. 2017 წლის 21 აპრილს 21:02 საათზე ადვოკატმა დაურეკა ი. ა.-ს, რის შემდეგაც ი. ა. წავიდა ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილებაში. პოლიციის შენობაში ყოფნის დროს ადვოკატმა კვლავ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა საჩივრის ავტორს ტელეფონით, რასაც ისმენდა მორიგე ზაალ მელიქიშვილი. ი. ა.-ის განმარტებით, გადაწყვეტილების 2.4 პუნქტის მიხედვით, ადვოკატი ასევე ცრუობს ეთიკის კომისიის აპარატში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, რასაც აქარწყლებს მოწმის სახით გამოკითხული იურისტის ჩვენება.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი დ. მ. იყო მისი ყოფილი რძლის ნატალია გრიგოლაშვილის ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 08 დეკემბრის განჩინებით ი. ა.-ს მიენიჭა ბავშვების ნახვის უფლება. მიუხედავად ამისა, ადვოკატი დ. მ., როგორც მოპასუხე მხარის წარმომადგენელი ხელს უშლიდა განჩინების აღსრულებას და მის შვილთან ერთად ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას. ასევე ადვოკატმა

ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას ეთიკის კომისიის აპარატში ყოფნის დროს, იურისტის თანდასწრებით და ხელი შეუშალა იურისტს მუშაობის პროცესში. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ადვოკატის აზრი არ იყო მიმართული არც ერთი იურისტის მიმართ. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ დ. მ. იურისტის მიმართ განახორციელებდა იმავეს, რაც მის მიმართ გააკეთა, მხოლოდ აღნიშნულს მიიჩნევდა კომისია გადაცდომად.

1.7 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მიკერძოებული იყო საპროცესო კოლეგია სამართლებრივი შეფასების გაკეთების დროს. გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაასკვნა, რომ საქმეში წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნაში, პაციენტის ბარათსა და მამოგრაფიაში მითითებული დაზიანებები არ შეიცავდა დასკვნას დაზიანებების გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუმცა, პაციენტის ბარათსა და ექსპერტიზის დასკვნაში ნათლად არის მითითებული, რომ ი. ა.-ს შუბლის არეში ჰქონდა ჰემატომა, რომელიც გამოწვეული იყო ბლაგვი საგნის ჩარტყმის შედეგად, ასევე მითითებული იყო სხვა სხეულებრივი დაზიანებები, რომლებიც ემთხვეოდა საჩივრის ავტორის პოზიციას.

1.8 საჩივრის ავტორისთვის გაურკვეველია, თუ რატომ არ გამოკითხა ეთიკის კომისიამ მოწმის სახით გ. კ., რადგან ის იყო თვითმხილველი. ი. ა. მიიჩნევს, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ ეთიკის კომისიას არ სურდა სიმართლის დადგენა.

1.9 საჩივრის ავტორი ასევე უკმაყოფილოა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 6.3 პუნქტით, სადაც მითითებულია - „საჩივრის ავტორის პრეტენზიებიდან დგინდება“. ი. ა.-ის განმარტებით, ის არ აყენებს პრეტენზიებს, არამედ ითხოვს სიმართლეს. მისთვის გაუგებარია, როდესაც ადვოკატმა მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა რატომ არ არის ეს ადვოკატის მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევა.

1.10 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ეთიკის კომისიის 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით არ დადგა მისთვის სასურველი შედეგი არასწორად შეფასებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, რის გამოც სურს კვლავ მოხდეს საჩივრის განხილვა და ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

**2. ადვოკატის პოზიცია :**

საჩივრის ავტორის მიერ 2018 წლის 23 ივლისს წარმოდგენილი განცხადება ადვოკატმა  დ. მ.-მა ჩაიბარა 2018 წლის 22 ივლისს, თუმცა მას ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია განმარტება.

## II სამოტივაციო ნაწილი

**3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება :**

3.1 ადვოკატი დ. მ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 ი. ა.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 23 ივლისს

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017-2018 წლებში, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

**4. შემაჯამებელი დასკვნა:**

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 9.1(ვ) მუხლის საფუძველზე.

**5. სამართლებრივი შეფასება:**

5.1 ი. ა.-ის პრეტენზია ეხება ეთიკის კომისიის 2017 წლის 30 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა. ი. ა. მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომები და უზუსტობები, ასევე ადვოკატი პოზიციის დაფიქსირების დროს არასწორ ფაქტებს გადმოსცემს და საპროცესო კოლეგიას არასწორად აქვს შეფასებული ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რის გამოც მიიჩნევს, რომ კოლეგიამ არასწორი სამართლებრივი დასაბუთება გადმოსცა გადაწყვეტილებაში. ი. ა.-ის განმარტებით ის არ აყენებს პრეტენზიებს, არამედ სურს სიმართლის დადგენა.

5.2 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N058/17 ეთიკის კომისიამ შეაფასა ი. ა.-ის პრეტენზიები, როგორც პროცესის მონაწილე პირის მიმართ ადვოკატ დ. მ.-ის მხრიდან გამოხატული არაეთიკური ქცევის ნაწილში. კოლეგიამ განიხილა ი. ა.-ის შემდეგი პრეტენზიები: ადვოკატ დ. მ.-ის დარიგებით, მისი შვილი ზ. მ. და ი. ა.-ის ყოფილი რძალი ნატალია გრიგოლაშვილი ი. ა.-ს არ აძლევდნენ შვილიშვილების ნახვის უფლებას; 2017 წლის 21 აპრილს ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ადვოკატმა დ. მ.-მა დაურეკა ი. ა.-ს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა; 2017 წლის 20 ივლისს შვილიშვილის სანახავად მისულ ი. ა.-ს მივარდა ადვოკატი დ. მ. და თავის შვილთან ზ. მ.-თან ერთად დაუწყო მას ცემა; ადვოკატი ახდენს ფსიქოლოგიურ ზეწოლას ი. ა.-ის შვილიშვილებზე და არ აძლევს მათ ბებიის ნახვის უფლებას; 2017 წლის 3 აგვისტოს, ეთიკის კომისიაში საჩივრის წარმოსადგენად მისულ ი. ა.-ს ეთიკის კომისიაში დახვდა ადვოკატი დ. მ. და დაემუქრა: ,,მაისურს შემოგახევ, ჯერ შენ მოგკლავ, მერე შენს შვილს, ორივე საგვარეულოს გ.----ს და ა.----სას ამოგწყვეტთ, რას დაწანწალებ საცოდავო, არ გაცოცხლებ, წიწილასავით მოგახრჩობ, კბილებით შეგჭამ"; 2017 წლის 19 სექტემბერს, როდესაც საჩივრის ავტორი იმყოფებოდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში და ელოდებოდა სხდომის დაწყებას, მასთან მივიდა ადვოკატი დ. მ. და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა: „ეს კუკუშკა კიდევ აქ მოვიდა, ეს შენობა საკუთარ სახლად ხომ არ მიაჩნია, ბებერი

მაწანწალა"; 2017 წლის 28 სექტემბერს მიმდინარეობდა სხდომა საჩივრის ავტორის შვილის მ. გ.-ს საქმეზე, რა დროსაც ადვოკატი დ. მ. კარებთან იდგა და ხელის ჟესტიკულაციით შეურაცხყოფას აყენებდა საჩივრის ავტორს და მის შვილს. სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ ადვოკატი დ. მ. შემოვიდა სხდომის დარბაზში და განაცხადა, რომ: ,,გ.---- არ გახვიდეთ, თქვენ მომიკალით შვილი, ლიფტში თქვენ გამო ჩავარდა. არ გაცოცხლებთ.“

5.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დ. მ.-ის მოქმედებები, არ უკავშირდებოდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებას, ვინაიდან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის არსებული ურთიერთობა პირადი ხასიათის იყო და კონფლიქტი წარმოიშვა ოჯახებს შორის დაძაბული ურთიერთობის ნიადაგზე. ასევე, ეთიკის კომისიის აპარატის ინციდენტთან დაკავშირებით საპროცესო კოლეგიამ მიუთითა, რომ ეთიკის კომისია ვერ შეაფასებდა ადვოკატ დ. მ.-ის ქცევას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შენობაში, ვინაიდან კონფლიქტი განხორციელდა არა დისციპლინური წარმოებისას, არამედ დოკუმენტთა რეგისტრაციის ადგილას და პროცესში, რაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის განხილვის საგანს არ წარმოადგენს, რადგან ეთიკის კომისიის აპარატი არ არის სასამართლოს ან კვაზი სასამართლოს ან მსგავსი პროცედურების განხორციელების მომენტი, სადაც შეიძლებოდა საპროცესო კოლეგიას ემსჯელა ადვოკატის პროფესიული საქმიანობის განხორციელების შესახებ ან თავად სასამართლოში ან მის მსგავს უწყებაში უშუალოდ მიმდინარე სამართალწარმოებისას არსებული ქცევის წესების დარღვევაზე. რაც შეეხება სასამართლოში მომხდარ ინციდენტს, რა დროსაც ი. ა.-ის განმარტებით ადვოკატმა ხელის ჟესტიკულაციით შეურაცხყოფა მიაყენა მას და მის შვილს, ხოლო სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ მიართა სიტყვებით - ,,გ.---- არ გახვიდეთ, თქვენ მომიკალით შვილი, ლიფტში თქვენ გამო ჩავარდა. არ გაცოცხლებთ“, საპროცესო კოლეგიამ აღნიშნულ შემთხვევაშიც მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაშიც არ დგინდებოდა დ. მ.-ის, როგორც ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტის კავშირი საჩივრის ავტორის მიერ დასახელებულ გარემოებებთან.

5.4 2018 წლის 23 ივლისს, საჩივრის ავტორის მიერ ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილ განცხადებაში საჩივრის ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსში დაშვებულ უზუსტობებზე, კომისიის მიერ გაკეთებულ შეფასებებზე და შედეგზე, თუმცა არ მიუთითებს ახალ გარემოებებზე, რომელიც წინა დისციპლინური სამართალწარმოებისას არ ყოფილა გამოკვლეული.

5.5 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ უსწორობა დაშვებულია გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში და საპროცესო კოლეგიას მათზე დაყრდნობით დასკვნა არ გაუკეთებია გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში. შესაბამისად, მითითებული უსწორობები არ ცვლის გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებას. საპროცესო კოლეგია მითითებულ გარემოებებს ვერ გაიზიარებს ახლად აღმოჩენილ გარემოებად.

5.6 ასევე, ახალ გარემოებებზე მითითებას არ წარმოადგენს კომისიის მიერ შეფასებულ გარემოებებზე გაკეთებული შენიშვნები, ვინაიდან კომისია სადავო გარემოებებს აფასებს საქმეში წარმოდგენილ ფაქტობრივი გარემოებებზე დაყრდნობით, რომლებიც

დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი მტკიცებულებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე საჩივრის ავტორის განცხადებაში მითითებული პრეტენზიები ვერ გახდება ახალი დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი.

5.7 საჩივრის ავტორის შენიშვნაზე, გადაწყვეტილებაში გამოყენებული სიტყვა „პრეტენზიის“ მიმართ, ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ საჩივრის წარმოდგენით მხარე გამოთქვამს უკმაყოფილებას ადვოკატის მოქმედებების მიმართ და მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომლებიც მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ, საჩივრის ავტორის მხრიდან დასახელებულ სადავო გარემოებებზე მითითების დროს კომისია იყენებს სიტყვა - „პრეტენზიას“, რომელიც სინონიმია საჩივრის ავტორის უკმაყოფილების, რის შემდეგაც კომისია კონკრეტულად ჩამოთვლის, თუ რაში გამოიხატა აღნიშნული უკმაყოფილება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კომისია აფასებს თითოეულ პრეტენზიას დამოუკიდებლად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

5.8 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 9(ვ) მუხლის თანახმად: ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე“. შესაბამისად, ი. ა.-ის მიერ მითითებულ პრეტენზიათა ფარგლებში არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის და დებულების თანახმად, იგივე საკითხების თავიდან განხილვა, ვერ მოხდება, თუ არ არის წარმოდგენილი ახალი მტკიცებულება, რომლის გათვალისწინებით გამართლებულია განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 9(ვ) მუხლით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №094/18 ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ სიითი/ №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/